ხელშეკრულება № 50
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. გორი 24მაისი 2017 წელი

ერთის მხრივ(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო საჯარო დაწესებულების N12 საბავშვო ბაგა-ბაღი(შემდგომში „შემსყიდველი"), მისი დირექტორის მ.შ.ელენე დავითაშვილის სახით და მეორეს მხრივ,შპს „2+1" მისი წარმომადგენელი კონსტანტინე ბერიძის(შემდგომში,,მიმწოდებელი")სახით ვხელმძღვანელობთ, რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია:საკანცელარიო ნივთებისშესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია:

№	საქონლისკოდი	საქონლისდასახელება	ზომისერთეული	რაოდ.	ერთ. ფასი	საქონლისფას
1	30192160	კორექტორიფუნჯი	ცალი	2	1	
2	30190000	ჩასანიშნიქაღალდი	ცალი	5	1.3	
3	22993400	თექისქაღალდი	ცალი	5	0.5	
4	30194320	ვატმანისახატავიფურცელი	ცალი	4	0.8	
5	30192130	ფერადიფანქარი	ცალი	1	3.8	
6	22815000	დიდირვეული	ცალი	1	2	
7	30197120	ჭიკარტივერცლისფერი	ცალი	3	0.7	
8	30197120	ჭიკარტიფერადთავიანი	ცალი	3	0.8	
9	30192125	დაფისმარკერი	ცალი	3	0.8	
10	30192125	მარკერი	ცალი	2	0.6	
11	30199230	კონვერტი	ცალი	3	0.1	
12	22993400	ფერადიქაღალდი	ცალი	2	4.5	
13	22993400	ფერადიქაღალდი	ცალი	1	5	
14	22993400	ფერადიქაღალდი	ცალი	3	1.8	
15	22816300	წებოვანიქაღალდი	ცალი	3	0.8	
16	22816300	ჟატისქაღალდი	ცალი	12	1.5	
17	79520000	ქსეროასლისგადაღება	გვერდი	80	0.05	
					ჯამი:	72

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით (ლარი).

3.2 შესყიდვის ობიექტისსაერთო ღირებულება შეადგენს72,20(სამოცდათორმეტი და 0,20) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის შემსყიდველისთვის მიწოდება განხორციელდებახელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 2017 წლის30 მაისამდე.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან/და შესაბამისი დოკუმენტი).

ანგარიშსწორების ფორმადა გრაფიკი (ვადები)

მიწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარი).

შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 30 (ოცდაათი) საბანკო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2017 წლის 30ივლისამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

ხელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის
ბი გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ
ეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის
ესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ბაღის დირექტორის მ.შ.– ელენე დავითაშვილი
13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებულო ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი":

ა(ა)იპ. გორისმუნიციპალიტეტის
სკოლამდელისაღმზრდელო
საჯაროდაწესებულების N12საბავშვობაგა-ბაღი
მის:ქ.გორი, დ. ამილახვრის ქ.N5

ს/კ:218078201

ბანკი:სს "[illegible] ბანკი"
ა/ა:GE[illegible]0634000

[illegible]
დირექტორი [illegible] დავითაშვილი

„მიმწოდებელი":

შპს 2+1
მის: გორი, ჭავჭავაძის ქ.N47/2
ს/კ-პ/ნ 418465529
ბანკი: სს "თიბისი ბანკი"
ა/ა: GE10TB7923036020100004

კონსტანტინე ბერიძე

მიღება-ჩაბარების
ა ქ ტ ი

ქ. გორი 24 მაისი2017 წელი

ჩვენ ქვემოთხელისმომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპქ. გორისმუნიციპალიტეტისსკოლამდელისაღმზრდელოსაჯაროდაწესებულების N12 საბავშვობაგა-ბაღი, მისი დირექტორისმ. შ. ელენედავითაშვილისსახით, „შემსყიდველად“ წოდებული და მეორეს მხრივ შპს „2+1“ მისი წარმომადგენლის კონსტანტინე ბერიძისსახით, „მიმწოდებლად“ წოდებული ვადასტურებთ, რომ 2017 წლის 24 მაისს დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები „მიმწოდებელმა“ შეასრულა, ხოლო „შემსყიდველმა„ მიიღო და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ. ღირებულებამ შეადგინა – 72,20(სამოცდათორმეტი და 0,20)ლარი.

„მიმწოდებელი“ „შემსყიდველი“

შპს „2+1“ ა(ა)იპქ. გორისმუნიციპალიტეტის
სკოლამდელისაღმზრდელო

საჯაროდაწესებულების N12საბავშვობაგა-
ბაღი

21307820 1

/კონსტანტინე ბერიძე/ /ელენე დავითაშვილი/